



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 41

27 აგვისტო 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, და „სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №22 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 2 აგვისტოს (სარეგისტრაციო №70) მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ძალდაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად 2018 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №21 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი